სსკგ-ის თავმჯდომარემ ნიჟეგოროდის სემინარიაში შეხვედრის მონაწილეებს უამბო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო კავშირების შესახებ



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 22.02.2025. 21 თებერვალს ნიჟეგოროდის სასულიერო სემინარიაში გაიმართა შეხვედრა და საუბარი მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარესთან, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონისთან. შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ ნიჟეგოროდისა და არზამასის მიტროპოლიტი გიორგი; ნიჟეგოროდის ეპარქიის ვიკარი, დალნეკონსტანტინოვის ეპისკოპოსი ფილარეტი; საეპარქიო მართვის მდივანი დეკანოზი სერგი მატვეევი; სემინარიის პირველი პრორექტორი, დეკანოზი ვასილი სპირინი; ოლქების კეთილმოწესენი და ეპარქიის განყოფილებათა ხელმძღვანელები; ასევე სასულიერო სკოლის პედაგოგები და სტუდენტები; მიტროპოლიტ ნიკოლოზის (კუტეპოვი) სახელობის საეკლესიო სპეციალისტების მომზადების ცენტრ „პოკროვის“ სტუდენტები და მართლმადიდებელი ახალგაზრდობა.

სსკგ-ის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მიტროპოლიტ გიორგის ნიჟეგოროდის მიტროპოლიის

საზღვრებში მიწვევისთვის და აღნიშნა, რომ ადრე მას მოუხდა ნიჟეგოროდის ოლქის მონახულება, როდესაც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს პირადი სამდივნოს ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებდა. „მიხარია, რომ აქ კვლავ ვარ და ვლოცულობ ნიჟეგოროდის მიწის წმინდანების მიმართ“, – აღნიშნა მიტროპოლიტმა ანტონიმ.

შეხვედრის პროცესში მან ისაუბრა, კერძოდ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებაზე, რომლებსაც ახორციელებს სსკგ წმინდა იერარქიის დავალებით.

თავისი გამოსვლის ძირითადი ნაწილი მიტროპოლიტმა ანტონიმ თანამედროვე სამყაროში მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობების თემას მიუძღვნა.

იერარქმა ასევე ისაუბრა საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს შექმნის სათავეებზე.

მეუფე ასევე შეეხო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის დიალოგის თემას, მათ შორის აღნიშნა ამ სფეროში არსებული სირთულეები, აგრეთვე დამსწრეებს გააცნო სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან და თემებთან ურთიერთობის საკითხები.

რელიგიათაშორისი ურთიერთქმედების საკითხების განხილვის შემდეგ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი შეჩერდა, კერძოდ, ისლამის წარმომადგენლებთან დიალოგის თემაზე და აღნიშნა, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია თანამშრომლობით, მათ შორის, ტრადიციული ფასეულობების დაცვის საქმეში.

შემდეგ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ მსმენელთა შეკითხვებს უპასუხა.

შეხვედრის დასასრულს ნიჟეგოროდისა და არზამასის მიტროპოლიტმა გიორგიმ მადლობა გადაუხადა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის საინტერესო საუბრისთვის და აღნიშნა, რომ გარე ზეწოლის მიუხედავად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია განაგრძობს თავისი პოზიციების დაცვას და წარმოადგენს ხალხის გამაერთიანებელ საწყისს.

სამახსოვრო საჩუქრად ეპისკოპოსმა ანტონიმ ნიჟეგოროდის სასულიერო სემინარიას გადასცა წიგნი საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ისტორიის შესახებ.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92905/